

თთუესა იფლისსა :კზ: (27)

წამებაჲ წმიდისა პანტელეიმონ მკურნალისაჲ*



ეფობასა მაქსიმეანოსისსა, უსჯუ-
ლოდსა მის მეფისასა, მრავალნი
მორწმუნენი ქრისტეანეთაგანნი
დააკლდებოდეს ცხორებასა ამის
საწუთროდსასა სარწმუნოებისათჳს ჭეშმარიტი-
სა და სასუფეველისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ
ქრისტესსა; და რომელნიმე მათგანნი დამალულ
იყვნეს მათათა შინა და ჭალაკთა და ნაპრალ-
თა ქუეყანისათა და ცხონდებოდეს მრავლითა
იწროებითა და ჭირითა; და რომელნიმე მკნე
იქმნეს და იწამნეს დიდითა ტანჯვითა ქალაქთა
შინა მთავართაგან და მსაჯულთა, და ჯორცნი
მათნი დაიბზარნეს და განიკაფნეს გუემითა, და
აღესრულნეს სარწმუნოებასა ზედა უფლისა
ჩუენისა იესუ ქრისტესსა. ოა მოლუაწენი იგი
განბრწყინდებოდეს თმენითა და მოიგებდეს სათ-
ნოებითა ცხორებასა მას დაუსრულებელსა.

ჟოლო მაქსიმეანოს, უშჯულოდ იგი მეფედ,
იყო ნიკომიდიჲ ქალაქსა და განკრძალულ იყო
სიბოროტისა ზედა და განახლდებოდა კერპთმ-
სახურებასა ზედა, ზოლო მოლუაწენი იგი განკ-
რძალულ იყვნეს მსახურებასა უფლისა ჩუენისა
იესუ ქრისტესსა და მკნდებოდეს და მძლე ექმნე-
ბოდეს უშჯულოთა მათ კეთილითა სარწმუნოებ-
ითა და მოიღებდეს გვრგვინსა სიმართლისასა მის
მხოლოდსაგან.

ჟათ ჟამთა იყო ვინმე კაცი მეფისა მეინაჴეთა-
განი, რომელსა ერქუა ასტარგიოს, და მყოფ იყო
ნიკომიდიჲ ქალაქსა. ოა ესუა მას ძმ მხოლოდ-
შობილი, რომელსა ერქუა პანტელეიმონ. ოა გან-
სწავლა იგი სიბრძნესა და მწიგნობრობასა და
მერმე მისცა იგი კაცსა მკურნალსა, რომელსა
ერქუა ეფროსინე. ოა იყო იგი მთავარი მკურნ-
ალთაჲ. ოა იგი ჰკურნებნ მეფესა და ყოველსა
ერსა პალატისა მისისასა.

ოა ვითარ შეიწყნარა იგი, დიდითა სწავლი-
თა და გულს-მოდგინებითა ასწავებდა მას ჴე-
ლოვნებასა მკურნალობისასა, და ყოველსა ჟამსა
წარიყვანის იგი მის თანა პალატად. ოა ვითარ
იხილა იგი მეფემან და ყოველთა მეინაჴეთა

მისთა, ჰრქუეს ეფროსინეს: «ვინ არს ჴაბუკი
ესე შუენიერი, რომელი არს შენ თანა?» და იყო
10 პანტელეიმონ ნანდვლვე შუენიერ ფრიად, და არ-
ავინ იყო პალატსა შინა სწორი მისი სიკეთითა
და შუენიერებითა. სრქუა ეფროსინე: «მედ არს
ასტარგიოსისი თანა-მზრახვალისაჲ, და დედასა
მისსა ჰრქუან აპოლა, და მომცეს მე იგი, რადთა
15 ვასწავო მას ჴელოვნებაჲ მკურნალობისაჲ».

სრქუა მას მეფემან და მეინაჴეთა მისთა: «ძალ-
სა ღმერთთასა ვფუცავთ, რამეთუ ჴაბუკი ესე ღირს
არს მსახურებად მეფისაჲ». ჟოლო ნეტარმან პან-
ტელეიმონ ყოველსა დღესა აღიმსოტს და მივიდის
20 და ისწავლინ მოძღურისაგან თჳსისა სიბრძნესა
და ჴელოვნებასა მკურნალობისასა. ჟოლო მეფედ
უფროდს ასწრავებდა ეფროსინეს, მკურნალთა
მთავარსა, რადთა დიდითა გულს-მოდგინებითა
და სწრაფითა ასწავებდეს პანტელეიმონს, რამეთუ
ეგულებოდა მისი, რადთა თავისა თჳსასა მკურ-
ნალ ყოს იგი და დაადგინოს ადგილსა მოძღურისა
თჳსისასა.

ოა იყო მათ ჟამთა კაცი ვინმე ქრისტეანედ,
მღდელი პატიოსანი, და დამალულ იყო იგი
30 სახლსა შინა თჳსსა ორთა ვიეთმე კაცთა თანა
ქრისტეანეთა. ოა იყო სახელი მისი არმოლაოს.
ჟოლო გზაჲ პანტელეიმონისი იყო კართა ზედა მის
მღდელისათა, და ზედავენ იგი მას დღითი-დღე,
მი-რად-ვალნ იგი მოძღურისა თჳსისა, და ცნა
35 სულითა, ვითარმედ ჴური რჩეული ყოფად არს
იგი, ვითარცა პავლე მოციქული.

ოა იყო რად იგი პალატსა შინა, არა ვიდოდა
იგი გზასა ჴაბუკათასა, და ვერცა შეუძლო ვინ
დარწმუნებდა მისა, ვითარმცა შეიყვანა იგი გა-
40 ნმცხრომელთა ტაბლასა, გინა მოსუშურთა შუ-
ებასა, ვითარ-იგი სხუანი ჴაბუკნი ჴყოფდეს, არ-
ამედ იყო ჴცევაჲ მისი შუენიერ და განგებაჲ მისი
წესიერ და ყოვლადვე შემკულ.

ოა დღესა ერთსა მოუწოდა მას არმოლაოს
45 მღდელმან და ევედრა, რადთა შევიდეს სახედ
მის თანა, სადა-იგი დამალულ იყო. ოა ვითარ
შევიდა, მოიკითხა იგი ზუცესმან მან და ჰრქუა

* ქართული ენის ისტორიული ჴრესტომათია, II, გამოსცა ივ. იმნაიშვილმა, თბ., 1963. გვ. 50-65.

მას: «მშვედობად შენდა, მ ჭაბუკო ბრწყინვალეო და შეძეულო ყოვლითა შუენირებითა!» ხოლო პანტელეონ ჰრქუა მას: «და შენდაცა მშვედობად, მ მდღელო პატიოსანო და ღირსო ყოვლისა პატივისაო!» და შეუპყრა მას კელი არმოლაოს და დაისუა იგი გუერდით მისა და ჰრქუა მას: «ვისი ძმ ხარ, შვილო ჩემო, ანუ რად გრქვან?» მიუგო პანტელეონ და ჰრქუა მას: «ძმ ვარი მე ასტარგიოსისი, მეფისა თანა-შზრაზვალისა, და დედად ჩემი იყო აპოლა, არამედ გარდაიცვალა იგი». სრქუა მას არმოლაოს: «რომელსა შჯუ-ლსა ჰმონებთ?» ჰრქუა მას პანტელეონ: «დედად ჩემი იყო ქრისტეანე, ხოლო მამად ჩემი აქამომდე ჰმონებს შჯულსა წარმართობისასა»; ჰრქუა მას არმოლაოს: «შენ ვისსა შჯულსა ზედა ხარ: მამისასა, ანუ დედისასა?» ჰრქუა მას პანტელეონ: «რაჟამს დედად ჩემი ცოცხალ იყო, უნდა, რადთამცა ვიყოფოდე მის თანა. ღოლო მამამან ჩემმან არა უტევა იგი, რამეთუ ენება, რადთამცა მყო მე მკედარ პალატსა შინა. სრამედ მე მინდა, რადთამცა ვიყავ დედისა ჩემისა თანა. ოა ვითარ მოკუდა დედად ჩემი, მამამან ჩემმან მიმაქცია ნებასა მისსა».

სრქუა მას ზუცესმან: «რასა სწავლასა ისწავ-ლი მოძღურისა შენისა თანა?» მიუგო მას პანტელეონ და ჰრქუა: «ვისწავლი სიბრძნესა ასკლიბიოსისსა და ბაგრატისსა და გალიანოზისსა. ოა ესრტო მრქუა მოძღუარმან ჩემმან: „უკუე თუ ისწაო შენ სიბრძნე ამათი, შემძლებელ იყო ყოველთა სენთა განკურნებად“. სრქუა მას ზუცესმან მან: «შვილო ჩემო, ასკლიბიოს და ბაგრატ და გალიანოს არარანი იყვნეს, რამეთუ მსახურებდეს ამოებასა; და ღმერთნიცა, რომელთა ჰმონებდეს მეფე თქუენი, არარანი არიან. სრამედ ისმინე ჩემი, შვილო ჩემო, და დამემორჩილე და გრწმენინ ქრისტე, რომლისა სახელითა განჰკურნე ყოველნი სენნი კაცთანი, რაჟამს შენ ხადოდი მას, რამეთუ იგი აღადგინებს მკუდართა და აღუზილავს თუალთა ბრმათასა და განკურნებს ყოველთა სენთა, და მან განკურნა დედაკაცი იგი წიდოვანი, ათორმეტით წლითგან ენებულთ, შეზებითა სამოსლისა მისისადა მსწრაფლ განკურნა იგი, და ეშმაკნი მრავალნი განასხნა კაცთაგან და გარდააქცია წყალი ღვწოდ და სასწაულნი მრავალნი და ნიშნი ქმნა და იქმს, რომელთადა არა არს რიცხუ, და იგი ყოველსა ჟამსა თანა-ექცევ-ის მოსავთა მისთა და იცხნის მათ ყოველთაგან ჭირთა მათთა, და მისცა კელმწიფებად მორწმუნეთა მისთა, რადთა ჰყოფდენ სასწაულთა ამათ

და უმრავლედსთა ამისთა».

ჰაშინ ნეტარმან პანტელეონ, ვითარცა ქუეყანამან რად კეთილმან შეიწყნარის თესლი დათესული მას შინა და ნაყოფი გამოიღის უზუებით სიტყვსა მისებრ წმიდისა სახარებისა: ერთისა წილ ოც და ათი და სამეოცი და ასი, ესრედთ შეიწყნარა პანტელეონ შუენიერმან სიტყუად იგი ნეტარისა არმოლაოზ მდღელისა, და აღორძნდა და ნაყოფიერ იქმნა მრავალთა ცხორებისათვს.

ჰიუგო პანტელეონ და ჰრქუა მას: «ჭეშმარიტად, მამაო, რამეთუ მესმოდა მეცა ესე დედისა ჩემისაგან სანატრელისა, და მას უფალსა ესვიდა და მსახურებდა და ხადოდა სახელსა ქრისტესსა, რომელსა შენ ჰქადაგებ». ოა ჰრქუა მას ზუცესმან მან: «გრწმენინ იგი აწ, შვილო ჩემო, და გაქუნდეს კელმწიფებად და ჰყოფდე ამას ყოველსა კაცთა შორის, რამეთუ არარად შეუძლებელ არს წინაშე მონათა მისთა, რომელთა ჰრწამს იგი. ოა უკუეთუ შენ გრწმენეს იგი და ნათელ-ილო სახელითა მისითა, შეიწყნარო მადლი იგი ზეცისადა».

ჰაშინ ნეტარი პანტელეონ მიიქცა სახიდ თვსა, სავსედ სიხარულითა. ოა მიერთგან ყოველთა დღეთა მივიდოდა არმოლაოს ზუცისა და ღამიშკიცებდა მისგან სწავლასა სარწმუნოებისასა და არა მივიდის სახიდ თვსა, რაჟამს წარმოვიდის იგი მოძღურისაგან თვსისა, ვიდრემდის არა მოიკითხის არმოლაოს და ყვის სიტყუად მის თანა. ოა აღივსებოდა იგი მადლითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა.

ოა დღესა ერთსა წარმოვიდოდა პანტელეონ მოძღურისაგან თვსისა და მივიდოდა სახიდ თვსა და იხილა გზასა ზედა ყრმად, მდებარე ქუეყანასა, რომლისა გუელსა ეკბინა და მომკუდარ იყო, და გუელი იგი ჯარბი წვა გუერდით მისა განუშორებელად. ოა ვითარ იხილა იგი პანტელეონ, შეეშინა და განცებრდა და მცირედ განდგა კიდე და მერმე განიდრაზა თავსა შინა თვსსა და თქუა: «ჯერ-არს ჩემდა აწ ცნობად, უკუეთუ ჭეშმარიტ არს, რომელსა-იგი არმოლაოს მითხრობდა, და აღიზილნა ზეცად და თქუა: «მ უფალო იესუ ქრისტე, უკუეთუ სათნო-გიჩს, რადთა ვიყო მსახურ შენდა და ღირს წოდებისა შენისა, აღდევინ აწ უკუე ყრმად ესე სახელითა შენითა წმიდითა». ოა ვითარ თქუა ესე, მეყსეულად ცხონდა ყრმად იგი და აღდგა, ხოლო გუელი იგი განსთქდა და მოკუდა.

ჰაშინ პანტელეონ შეიწყნარა მადლი სარწმუნოებისა, განიხარა და თქუა: «გმადლობ და გაკურთხე შენ, უფალო იესუ ქრისტე, რო-

მელმან ღირს მყავ და შემრთე რიცხუსა მონათა შენთასა». ოა მსწრაფლ მუნთქუესვე წარვიდა სიხარულითა დიდითა **არმოლაოს** ხუცისა, შეურდა ფერკთა მისთა და ჰრქუა მას: «გევედრები შენ, მონაო ქრისტეისო, მომეც მე ბეჭედი იგი ქრისტეისი და განმანათლე მე ემბაზითა მით ნათლის-ღებისადთა, რამეთუ მრწამს მე ქრისტე დღესითგან და უწყი, რამეთუ არა არს სხუად ღმერთი მისა გარეშე, რომლისა კელმწიფობითა მკუდარნი აღდგებიან». ოა უთხრა მას ყოველი იგი ყოფილი, და ვითარ-იგი სახელის-ღებითა ქრისტეისითა აღადგინა ყრმაი იგი, და ვითარ გუელი იგი მყის განსთქდა.

სრქუა მას ხუცესმან: «მოვედ, შვილო ჩემო, და მიჩუენე მე გუამი იგი მკეცისად მის ბოროტისად». ოა წარვიდა ნეტარი **პანტელეონ** მის თანა და უჩუენა მას გუელი იგი მომკუდარი. ოა ვითარ იხილა, დაუკრდა, აღიხილნა ზეცად და თქუა: «გმაღლობ შენ, უფალო იესუ ქრისტე, და ვაკურთხევ სახელსა შენსა წმიდასა. ოიდებად სახიერებასა შენსა, ქებად და კურთხევად მოწყალებასა შენსა, რომელი მიანიჭებ მაღლთა შენთა უხუეებით და მწრაფლ მიეც საიდუმლოდ მაღლისა შენისად მონასა შენსა **პანტელეონს**».

ჰაშინ წარვიდეს საყოფლად ხუცისა მის, და განმზადა სანათლოდ და ნათელ-სცა მას და დაიყენა მის თანა შუდ დღე. ოა დღესა მას მერვესა მიაქცია ნეტარმან **პანტელეონ** სახიდ თვსა. ოა ვითარ იხილა იგი მამამან მისმან, ჰრქუა მას: «სადა იყავ, შვილო, შუდთა ამათ დღეთა? რამეთუ მყავ მე მწუხარებასა შინა და ურვასა». სრქუა მას **პანტელეონ**: «კაცი ვინმე უძლურ იყო სენითა ფიცხლითა პალატსა შინა მეფისასა და მივედით მე და მოძღუარი ჩემი მისა, და რამეთუ იყო იგი დიდებულ წინაშე მეფისა, დავადგერით მის თანა, ვიდრემდის სრულ იქმნა სიმრთელე მისი კურნებითა». ოა ჰრქმენა მას და არღარა შესძინა კითხვად მისა.

ოა იყო, ზვალის დღე წარვიდა მოძღურისა თვსისა **ეფროსინესა**. ოა ვითარ იხილა იგი, ჰრქუა მას: «მითხარ მე, სადა იყავ დღეთა ამათ?» ჰრქუა მას **პანტელეონ**: «მამამან ჩემმან მოიგო აგარაკი და წარმავლინა მე შეკრებად ნაყოფთა მისთა, და დავყვენ დღენი ესე შუდნი მუნ, ვიდრემდის შევკრიფე ყოველი ნაყოფი მისი. ოა აგარაკი ესე, რომელ მოვიგეთ, უმჯობეს არს ყოველთა საფასეთა». ოსმა რად ესე **ეფროსინეს**, ჰრქმენა მისი და არად მიუგო მას.

ჴოლო **პანტელეონ** საესე იყო მაღლითა სული-

სა წმიდისადთა და დაიუნჯებდა სიმდიდრესა სარწმუნოებისასა და აქუნდა მას დიდი გულს-მოდგინებად და სწრაფად, რადთა მამად მისი მოაქციოს ცთომისაგან და მიუძღუეს ნათელსა მას სარწმუნოებისასა, და ყოველთა დღეთა ყვის სიტყუად მის თანა და უთხრობნ მას ძალსა ქრისტეისსა და შეურაცხებასა და მედგრობასა კერპთასა.

ოა დღესა ერთსა ჰკითხა მას და ჰრქუა: «რად-სათვს, მამაო, ღმერთნი ესე ესრედთ დგანან შეუძრველად? რამეთუ რომელი მათგანი დგას ზე, მარადის მდგომარე არს და არა დაჯდების, და რომელი მჯდომარე არს, მარადის ზის და არა აღდგების». სრქუა მას: «გრწმენინ, შვილო, ჩემი, რამეთუ სიტყუად ძნელი და განსაკერვებელი მკითხე მე, და ვერ შემძლებელ ვარ თხრობად შენდა». ჰაშინ **პანტელეონ** აღივსო სიხარულითა და შეწირა მაღლობად ქრისტესსა, რამეთუ ერთითა სიტყვითა მძლე ექმნა მას და დაარწმუნა ამოებად და შეურაცხებად კერპთად. ოა მიერ ჟამითგან იქმნა იგი იჭუსა შინა მათთვს და არღარა უზორვიდა მათ.

ოა ედგნეს მას კერპნი სახლსა შინა მისსა, და უნდა **პანტელეონს**, რადთამცა შემუსრნა იგინი მრავალ-გზის, არამედ განიძრახა და თქუა: არა განვარისხო მამად ჩემი, ვიდრემდის თვთ მოიწიოს ჟამი მათი, და რაჟამს ჰრწმენეს მას უფალი ჩუენი იესუ ქრისტე, მან თვთ შემუსრნეს მეცნიერებითა თვსითა.

ოა ვითარ-იგი განიძრახვიდა ამას, კაცთა ვითმე მოჰყვანდა მისა კაცი ბრმად და იკითხვიდეს **პანტელეონს** მკურნალსა, და უთხრეს ვითმე, ვითარმედ შინა არს, და მოუწოდეს მას, რადთა განვიდეს მათა და იხილოს ბრმად იგი. ოა ვითარ ესმა მას, განვიდა სწრაფით და მიიყვანა მამად მისი მის თანა და იხილა ბრმად იგი და ჰრქუა მას: «რასა ეძიებ?» ჰრქუა მას ბრმამან მან: «გევედრები შენ, რადთა შემიწყალო დაბნელებული ესე და დაკლებული შუენიერებასა ნათლისა ხილვასა, რამეთუ მრავალთა მკურნალთა უკურნებია, და არარად სარგებელ მეყო, არამედ მცირედიცა იგი ნათელი, რომელი იყო, მი-ვე-მიღეს და ყოველი მონაგები ჩემი წარიდეს და ესრედთ დამიტევეს მე დიდსა ჭირსა შინა». სრქუა მას **პანტელეონ**: «მკურნალთა რომელთა გკურნეს და ვერარად გარგეს, მიეც მათ მონაგები შენი, ზოლო მე რასა მომცემ, უკუეთუ გყო შენ მხედველ?» ჰრქუა მას: «ყოველი რომელი დარჩომილა მონაგები ჩემი, მიგცე შენ».

სრქუა მას **პანტელეონ**: «ქრისტემან მოგცეს

შენ ნათელი თუალთა ჩემ მიერ, არამედ წარვედ და მიეც გლახაკთა, რომელი აღმითქუ მე». მაშინ მამამან მისმან ჰრქუა **პანტელეონს**: «განუტევე კაცი ესე, შვილო ჩემო, რადთა წარვიდეს მშველობით, რამეთუ შენ არა უკელოვნედს ხარ სხუათა მათ მკურნალთა, რომელნი უპატიოსნედს არიან შენსა». სრქუა მას **პანტელეონ**: «კურნებასა რომელსა მე ვკურნებ, ვერვინ მკურნალთაგანი შემძლებელ არს მას მიწუდომად, რამეთუ რომლისა მოძღურისაგან მე ვისწავე, უკელოვნედს არს იგი მათ ყოველთასა». სგონებდა მამამ მისი, ვითარმედ მოძღურისა მისისა **ეფროსინეს** იტყვს, და ჰრქუა მას: «მასმიეს, შვილო ჩემო, ვითარმედ **ეფროსინეს** უკურნებია მაგისა მრავალ-გზის და ვერად არგო მას». სრქუა მას **პანტელეონ**: «სულგრძელ იქმენ, მამაო, და იხილო დიდებად იგი, რომლისა განშადებულ არს ესე ხილვად».

თა უპყრა ცელი ბრმასა მას და შეახო თუალთა მისთა და თქუა: «სახელითა იესუ ქრისტემისთა, რომელი განანათლებს დაბნელებულთა და განკურნებს შემუსრვილთა და შეპკრებს განბნეულთა და ეძიებს წარწყმედულთა, აწ ბრძანებითა და ნებითა მისითა და ძალითა იქმენ მხედველ ნათელსა ყოველთა დღეთა ცხორებისა შენისათა, და უფრომს მისა იქმენ მხედველ, უკუეთუ გრწმენს იგი». თა ვითარ თქუა ესე, მუნთქუესვე აღიზილნა თუალნი და იწყო ხედვად. სხილა რად ესე მამამან მისმან, დაუკვრდა და ჰრწმენა მას უფალი მიერ ჟამითგან, და განკურნებულსაცა მას ეგრეთვე ჰრწმენა უფალი.

ხოლო **პანტელეონ** წარვიდა ზუცისა და უთხრა მას ყოველი იგი ყოფილი, და მოვიდა **არმოლაოს პანტელეონის** თანა სიხარულით სახიდ მისა, რადთა იხილოს განკურნებული იგი. თა ვითარ იხილა ყოველი, რომელი ქმნა **პანტელეონ**, მადლობად შეწირა უფლისა, რომელმან მისცა ესევეთარი მადლი მას. თა ვითარ გარდაჰდეს მცირედნი დღენი, დაამტკიცა **არმოლაოს** განკურნებული იგი სარწმუნოებასა და **ასტარგიოსცა**, მამამ **პანტელეონისი** და მოსცა მათ ნათელი, და შეიწყნარეს მათ მადლი იგი ზეცისაჲ. თა მიიქცა განკურნებული იგი სიხარულით და აღიდებდა ღმერთსა.

მაშინ **ასტარგიოს** შევიდა სასუენებელსა თვსსა, რომელსა შინა იყუნეს კერპნი, შემუსრნა ყოველნი და შთასთხივნა იგინი მთხრებსა. თა ვითარ იხილა ესე **პანტელეონ**, ჰმადლობდა უფალსა მარადის. თა შემდგომად მცირედთა დღეთა შეისუე-

ნა მამამან მისმან. თა დაშთა **პანტელეონ** მარტოა განმგედ თავისა თვსისა და კეთილად ცხონდებოდა იგი. ჟამეთუ განათავისუფლნა მონანი თვსნი და მისცა საკმარი მათი მონაგებისაგან თვსისა და განუყო ყოველი მონაგები თვსი გლახაკთა.

თა მივიდის საჰერობილეთა და მიაართვს საკმარი მათი და სნეულთა ჰმსახურებნ ცელითა თვსითა და განკურნის იგინი და მისცის საკმარი მათი; და უძღურთა რომელთა ვერარად არგიან მკურნალთა, მოჰყვანდეს იგინი **პანტელეონისა**, და განკურნის იგინი სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა. მაშინ ყოველნი მყოფნი ქალაქისანი მოვიდოდეს მისა და დაუტეობდეს სხუათა მათ მკურნალთა. ხოლო უფალი იქმოდა მის მიერ კურნებასა და სასწაულთა მრავალთა. თა შეიშურეს მკურნალთა სხუათა საქმედ იგი მისი და განიმძაზვიდეს ბოროტსა მისთვს.

ოღესა ერთსა შეკრებულ იყვნეს მკურნალნი, და ბრმად იგი, რომელი განეკურნა **პანტელეონს**, იყო მათ შორის. სხილეს იგი და თქუეს ურთიერთას: «არა ესე არსა ბრმად იგი, რომელსა ვკურნებდით და ვერ შეუძლეთ განკურნებად მისა? და აწ ვინ-მე განკურნა ეგე?» მოუწოდეს მას და გამოიკითხეს, ვინძი განკურნა იგი. თა ჰრქუა მათ: «**პანტელეონ** განეკურნა და მყო მე მხედველ». სრქუეს სხუათა მათ მკურნალთა **ეფროსინეს**: «არა შენი მოწაფედ არსა?» ჰრქუა მათ: «ჰე». თა მათ ჰრქუეს: «ძალსა ღმერთთასა ვფუცავთ, რამეთუ მოძღურისაგან დიდისა მოწაფედ დიდი გამოსრულ არს». სე თქუეს უმეტრებით და წინაწარმეტყუელებდეს ქრისტესა ზედა მოწაფეთა მისთა.

თა მიერ დღითგან აღუდგეს ჯდომად და შურობად **პანტელეონს** დიდად ფრიად და ეძიებდეს გულს-მოდგინედ, რადთამცა პოვეს მის ზედა მიზეზი რადმე. თა შემდგომად მცირედთა დღეთა პოვეს, რამეთუ განეკურნა კაცი ვინმე მორწმუნედ ქრისტეანეთაგანი, და შეასმინეს **მაქსიმიანოს** მეფესა და ჰრქუეს: «გვევდრებით შენ, მეფე, **პანტელეონ**, რომლისაჲ ჰბრძანე, რადთა ისწაოს ცელოვნებად კურნებისაჲ დიდითა სწრაფითა, რადთა იყოს იგი მკურნალ შენდა, აჰა ესერა ჰკურნებს იგი მათ, რომელნი ღმერთთა აგინებენ, და მისცემს საზრდელსა და განდგომილ არს იგი მსახურებისაგან ღმერთთაჲსა. თა უკუეთუ შენ არა წარსწყმიდო იგი ადრე, მრავალნი მიაქციენეს მისა, და დაუტეონ მსახურებად ღმერთთაჲ, და იქმნეს კურნებაჲ **ასკლიბიოსისი** და სიბრძნე მისი ქრისტეს სახელსა ჩემებად». თა ვევედრნეს

მეფესა, რადთა მოუწოდოს ბრძანა მას, რომელი განკურნა მან. ღრძანა მოწოდებად მისი, და რადთა გამოჰკითხონ მას, თუ რომლითა წამლითა, გინა კურნებითა განკურნა იგი. ოა პრქუეს: «მითხარ ჩუენ, შ კაცო, რადთა განკურნა შენ **პანტელეონ?**» ხოლო მან პრქუა მათ: «ილოცა და ევედრა ქრისტესა და შემახო ცელი თუალთა ჩემთა, და მუნთქუესვე აღვიხილენ და ვიქმენ მხედველ».

სრქუა მას მეფემან: «შენ რასა იტყვ, ძალითა ღმერთთადათა განკურნა, ანუ ქრისტეს ძალითა?» მიუგო მან მეფესა და პრქუა: «გვეედრები შენ, შ მეფე, რამეთუ ყოველთა ამათ მკურნალთა, რომელთა ჰხედავ, ფრიად მრავალ-გზის მკურნეს მე და წარიღეს ყოველი მონაგები ჩემი და ვერარა მარგეს, არამედ მცირედი ნათელი, რომელი იყო თუალთა ჩემთა, იგი მი-ვე-მიღეს ჩემგან. ოწ ბრძანე, შ მეფე, ვინ უკუე უფროდს არს: **ასკლიბიოს**, რომელი მრავალთა მიერ ვედრებულ იქმნა, და ხადოდეს მას შემწედ და ვერ შეუძლეს კურნებად ჩემდა, ანუ ქრისტე, რომელი ვედრებულ იქმნა **პანტელეონისგან** ხოლო მარტომსა, და მყის მომცა მე ნათელი?» პრქუა მას მეფემან: «წარვედ და დაუტევე უგუნურებად ეგე და ნუ ჰგონებ, ვითარმედ ქრისტე არს, რომელმან განკურნა შენ, არამედ ღმერთთა მოგცეს შენ ნათელი».

ძაშინ პრქუა მას განკურნებულმან მან: «არამედ უფროდსა შენ, შ მეფე, დაუტევე უგუნურებად, რამეთუ მე ქრისტემან მომცა ნათელი **პანტელეონის** მიერ, მონისა თვისისა, ხოლო ღმერთნი შენნი თვით ბრძანა არიან და ვერ ხედვენ და ვითარ-მე მისცენ კაცთა ნათელი ხედვისადა?» ძაშინ პრქუა მეფემან: «ვფუცავ ღმერთსა, რამეთუ რომელი-იგი მრქუეს მე მკურნალთა, ჭეშმარიტ არს და არა არს ნაცილ». ოა ბრძანა მუნქუესვე კაცისად მის, რადთა წარიყვანონ და მოჰკუეთონ თავი მისი, და პრქუა: «უკუეთუ დაშთეს ეგე ცოცხალი, მრავალნი გარდააქცივნეს მსახურებისაგან ღმერთთადას». ოა ცნა ესე **პანტელეონ** და მისცა ფასი ღიდძალი მათ, რომელთა მოჰკუეთეს თავი მისი, და წარიღო გუამი მისი და დაჰმარხა იგი მამისა მისისა თანა.

ოა შემდგომად ამისა ბრძანა მოყვანებად **პანტელეონის**. ოა ვითარ მიჰყვანდა იგი მტარვალთა მათ, ხოლო ნეტარი იგი გალობდა ფსალმუნსა **დავითისსა** და იტყოდა: «ღმერთო, ქებასა ჩემსა ნუ დაიდუმებ, რამეთუ პირი ცოდვილისა და პირი მზაკუვარისა ჩემ ზედა აღეღო, იტყოდეს

ჩემთვს ბაგითა ზაკულითა და სიტყვითა საძულელთა მომიძულეს მე და მბრძოდეს მე ცუდად, სიყუარულისა ჩემისა წილ მასმენდეს მე, ხოლო მე ვილოცევედ; მომაგეს მე ბოროტი კეთილისა წილ და სიძულილი — სიყუარულისა წილ ჩემისა» (ფს. 108,1-5); «ზემეწიე მე, უფალო ღმერთო ჩემო, და მაცხოვრე მე წყალობითა შენითა. შეიმოსონ სირცხვლი და კდემად მათი, რომელნი მასმენდეს მე, ხოლო მონადა შენი იხარებდეს შენდამი (ფს. 108: 26,29,28).

ოა შეიყვანეს იგი მეფისა. ოა იყო ზრახვად გულისა მისისადა ზეცას. სრქუა მას მეფემან: «მითხარ მე, **პანტელეონ**, ჭეშმარიტ არს-ა, რომელი-ესე მესმა შენთვს? არა-მე უბრძანე-ა მოძლუარსა შენსა **ეფროსინეს**, რადთა გულსმოდგინე იქმნეს და მოსწრაფე სწავლასა შენსა ყოველითა ხარკებითა? და მენება, რადთა გყო შენ მკურნალთაგისა ჩემისა შუენიერებისათვს სიტკბუკისა შენისა». სრქუა მას **პანტელეონ**: «რად არს, რომელი გესმა ჩემთვს?» პრქუა მას მეფემან: «რომელი-იგი მესმა, არა დავიჯერე, რამეთუ შეჰგავს, რადთა იყოს იგი ტყუვილ და ნაცილ. ღოლო მესმა, ვითარმედ ჰკურნებ მათ, რომელთა ჩუენ ვსტანჯავთ უვარის-ყოფისათვს ღმერთთადას, და მისცემ მათ საზრდელსა და საჭმარსა მათსა».

ძაშინ **პანტელეონ** აღივსო სულითა წმიდითა და პრქუა: «ისმინე, შ მეფე: წერილ არს, ვითარმედ: ღმერთთა, რომელთა არა შექმნეს ცად და ქუეყანად, წარწყმედ, რამეთუ არა არიან ღმერთ. ონუ მკუდართა აღადგინებენ-ა? ანუ ბრძანა მიჰმადლებენ-ა ხედვასა? ანუ განკურნეს სადა ვინა დაჰსნილი ცხედარსა ზედა მდებარე, რადთა გურწმენეს მათა მიმართ? უკუეთუ არასადა რად ყვეს ესევითარი, რასა უკუე ჰბრძანებ მათთვს, შ მეფე?» პრქუა მას მეფემან: «უგუნურო, მაშა ღმერთსა რომელსა ჰმსახურებენ ქრისტეანენი, შემძლებელ არსა ყოფად ესევითარსა რას?» პრქუა მას **პანტელეონ**: «ღმერთსა რომელსა ჰმსახურებენ ქრისტეანენი, უქმნია ესე ყოველი და აწცა კუალად იქმსვე. ოა უკუეთუ გნებავს უწყებად ძალი იგი ღმრთისადა, რომელსა ჰმსახურებენ ქრისტეანენი, ბრძანე მოღებად ერთისა განრღუეულისადა, რომელი იდვას უბანთა ზედა, და მოიყვანე აქა, ვინცა ჰბრძანო, ქურუმთა შენთაგანი, და ხადოდის ღმერთთა თვსთა, და მე ვხადო ქრისტესა, და რომლისა-ძი ხადილითა განიკურნოს განრღუეული იგი, ჯერ-არს, რადთა მისი ღმერთი გურწმენეს, რამეთუ ძლიერ არს და ჭეშმარიტ».

თა ბრძანა მეფემან მოღებად განრღუეულისა და დადებად შორის მათსა. თა მეყსეულად წარვიდეს და მოიღეს მღებარე ცხედარსა ზედა. თა ჰრქუა მეფემან **პანტელეონს**: «შენ პირველად ხადე ღმერთსა შენსა». სრქუა მას **პანტელეონ**: «ბრძანე, ჰ მეფე, რადთა ქურუმნი შენნი უწინარეის წარმოდგენ და ჰხადონ ღმერთთა მათთა, და, ვითარცა ისმინონ, და მოეცეს თხოვად მათი, დავდუმნე მე და არლარა ვიტყოდი. თა უკუეთუ ვერ მიიღონ თხოვად მათი, ვევედრო მე ქრისტესა და ვითხოვო სათხოველი ჩემი». (ქუა მეფემან: «ძლიერებამან ღმერთთამან, კეთილად თქუა. წყავ გგრე!»)

ჰაშინ ქურუმთა მათ იწყეს ცმობად და ყოველთა მკურნალთა, რომელნი იყუნეს მათ თანა, ამოეცისა სასოებითა. თა რომელნიმე მათგანნი ხადოდეს **დიოსს** კერპსა და **ასკლიბიოსს** და რომელნიმე — **ბაგრატს** და რომელნიმე — **არტემის** და რომელნიმე — **გალიანოსს** და სხუათა მათ ნეშტთა ღმერთთა მათთა. თა იქმნა სასოვებად მათი და დადადებად ყოველი ამო და ცუდ და ურგებ. თა ვითარ იხილა მეფემან, რამეთუ უსმ არს და ურგებ თხოვად მათი, უბრძანა **პანტელეონს**, რადთა ითხოვოს სათხოველი მისი მან.

ჰაშინ აღიხილნა თუალნი თცსნი ზეცად და თქუა: «ისმინე, უფალო, ჰმად ლოცვისა ჩემისა, და დადადებად ჩემი შენდა შევედინ. ჩუ გარემიექცევ პირსა შენსა ჩემგან. ჰწრაფლ ისმინე ჩემი დღესა ამას, რომელსა გხადი შენ, და უჩუენე ქურუმთა ამათ ბილწთა და ბოროტად განმზრახველთა, რამეთუ შენ ისმინე ჩემი და შენ ხარ შემწე მათი, რომელნი გესვენ შენ». თა ვითარ-ესე თქუა, უპყრა კელი განრღუეულსა მას და თქუა: «სახელითა იესუ ქრისტესითა იქმენ ამიერიტგან ცოცხალ და განკურნებულ». თა მუნთქუესვე აღდგა იგი ცოცხალი და წარვიდა სახიდ თცსა სიხარულით და ადიდებდა ღმერთსა. თა მრავალთა ჰრწმენა ჟამსა მას და შეურაცხ-ყვეს მსახურებად კერპთა.

ჰაშინ ქურუმნი იგი ბილწნი და ყოველნი მკურნალნი იღრჭენდეს კბილთა მათთა დიდითა რისხვითა **პანტელეონის** ზედა და ჰრქუეს მეფესა: «უკუეთუ დაუტეო ესე ესრედთ ცოცხალი, განქარდეს მსახურებად ღმერთთა და ზოვად მათი, და შეურაცხ-ყვენ იგინი ყოველთა კაცთა, და ნუ გრწამნ მისი, რამეთუ განრღუეული იგი ძალითა ღმერთთადათა განკურნა». თა ჰრწმენა მეფესა სიტყუად მათი და ჰრქუა **პანტელეონს**: «დაძმორჩილე და ისმინე ჩემი და უზოვრე ღმერთ-

თა. **წნუ** არა ზედავ-ა, რავდენნი კაცნი მომწყდარ არიან მათთცს?» ჰრქუა მას **პანტელეონ**: «კაცნი იგი, ჰ მეფე, რომელ მათთცს მომწყდარ არიან, არიან იგი ცხოველ უკუნისამდე, რამეთუ ქრისტესითცს მოწყდეს».

სრქუა მას მეფემან: «დასცხერ სახელის-დებად ქრისტესა და შეიწყალე სიჭაბუკე შენი, რამეთუ, ვითარ ვხედავ, მრავალსა სატანჯველსა მოატყუებ თავსა შენსა, უკუეთუ შენ დაადგრე განძრახვასა მაგას ზედა». სრქუა მას **პანტელეონ**: «ისწრაფე, ჰ მეფე, და მოიღე სატანჯველი იგი, რომელსა იტყვ, რამეთუ განმზადებულ ვარ ყოვლისა სატანჯველისა დათმენად უფლისა ჩემისა იესუ ქრისტესითცს». სრქუა მეფემან **მაქსიმიანოს**: «იცი სამე, **პანტელეონ**, **ანთომას** მოხუცებული, რომელი განძლიერდა და წინა-აღმიდგა და მიჰდებოდა უწინარეს დღეთა ამათ, ვითარ-იგი წარვწყმიდე?» ჰრქუა მას **პანტელეონ**: «ჰე, ჰ მეფე, ვიცი იგი, რამეთუ არა დაგემორჩილა და არცა ჰრწმენა შენი. თა უკუეთუ იგი მოხუცებული და უძლური მკნე იქმნა და ილუაწა ღმრთისათცს და არა ისმინა ბრძანებად შენი, რავდენ უფროდს ჯერ-არს ჩემდა მოღუაწებად, რადთა ღირს ვიქმნე გვრგენსა მისსა მიმთხუევად?»

თა ვითარ იხილა მეფემან სიმტკიცე მისი და შეურყეველობა სარწმუნოებისათცს, ბრძანა დამოკიდებად მისი და ზუეტად კორცთა მისთა და დაბზარვად და ცეცხლითა დაწუვად ასოთა მისთა და ლამპრითა ცეცხლისადათა. ჰაშინ აღიხილნა თუალნი თცსნი ცად მიმართ და შეიწყნარა ტკივილთა და სატანჯველთა სიმრავლმადლობით და თქუა: «ჰ უფალო იესუ ქრისტე, ვითარ-იგი იყავ ჩემ თანა უძლურთა კურნებასა, აწცა იყავ ჩემ თანა და შემეწიე სატანჯველთა ამათ სიმძაფრესა, რადთა აღვასრულო ღუაწლი ესე ჩემი». თა ეჩუენა მას ქრისტე ხატითა **არმოლაოზ** ზუცისადათა და ჰრქუა მას: «ნუ გეშინინ და ნუცა შესძრწუნდები სატანჯველთა ამათგან, ილუაწე მკნედ. ჰ მოღუაწეო, რამეთუ მე შენ თანა ვარ ყოველთა ტკივილთა და გუემათა შენთა».

ჰაშინ დაჰცსნდეს კელნი მსაჯულთანი, და დაშრტა ცეცხლი იგი ლამპართა მათ. თა ვითარ იხილა მეფემან საქმე იგი, ჰრქუა მას: «რომელი ღონე ჰყავ და დაშრიტენ ლამპარნი და მოაუძლურენ კელნი მტანჯველთა შენთანი?» ჰრქუა მას **პანტელეონ**: «არა მე ვყავ ვგე, არამედ უფალმან ჩემმან იესუ ქრისტემან დაშრიტნა ლამპარნი და დაცსნა კელნი მსახურთა შენთანი». სრქუა მას **მაქსიმიანოს**: «სხუანი სატანჯველნი მოვაწ-

ივზე შენ ზედა, რადმე უკუე ჰყო მერმე?» პრქუა მას **პანტელეონ**: «უკუთუ სხუანი სატანჯველნი უფიცხლეისნი მოაწიენე ჩემ ზედა, ეგებომაღ-
ცა ქრისტემან განამრავლოს შეწევნაჲ მისი ჩემ ზედა».

ოა ვითარ ესმა ესე, ბრძანა შექმნაჲ ტაფაკი-
სა ღიღისაჲ და განდნობად მას შინა ტყევეი და
შთაგდებად წმიდისაჲ მის მას შინა და ეგრეთ
ტანჯვად მისი. ოა ვითარ ყვეს ესე და შთააგ-
დეს წმიდაჲ იგი მას შინა, ხოლო მან აღიხილნა
თუალნი თუხნი ზეცად, ილოცვიდა და იტყოდა:
«ისმინე ლოცვისა ჩემისაჲ, უფალო, და რაჟამს
ვილოცვიდე მე შენდამი, შიშისაგან მტერისა
ივსენ სული ჩემი, დამიფარე მე დრკუევებისაგან
გზისა უკეთურთაჲსა და მრავალთაგან მოქმედთა
ურჩულოვებისათა, რომელთა აღილესნეს ენანი
მათნი». ოა ვითარ აღასრულა ლოცვად ესე, გა-
მოეცხადა უფალი და უპყრა კელი მისი შესლ-
ვასა მისსა ტაფაკად, და მყის დაშრტა ცეცხლი
იგი, და ტყევეი იგი განცივნა.

ჰაშინ წმიდამან მან იწყო ფსალმუნებად და
იტყოდა: «მე ღმერთსა ვხადე, და უფალსა ესმა
ჩემი; მწუხრი, დილეულ და სამზრის მიუთხრობ-
დე და ვიტყოდი, და ესმეს კმისა ჩემისაჲ» (ფს.
54, 16-17). ოაშინ რომელნი დგეს მუნ, შეიპყრ-
ნა საკვრველებამან ხილვისა მისგან. ოა თქუა
მეფემან: «ჰხედავთ სამე, ვითარ განწირულმან
ამან ლამპარნი დაშრიტნა და ტყევეი განაცივა?
აწ რომლითა სატანჯველითა ვტანჯო იგი?»

ჰაშინ წინაშე მდგომელთა მათ პრქუეს: «ჯერ-
არს, ჰმეფე, რადთა ზღუასა დაანთქა ეგე, ნუუკუე
შე-მე-უძლოსა ზღუასაცა განქარვებაჲ». ოა
ბრძანა მეფემან, რადთა დაანთქან იგი ზღუასა. ოა
შეიპყრეს იგი მსახურთა მათ სიცრუვისათა და
მიიყვანეს იგი ზღუად. ღოლო მეფეჲ შეუდგა მას,
რადთა იხილოს, რადმი იქმნეს. ოა მოიღეს ღოდი
ღიდი და გამოაბეს ყელსა წმიდასა მას და შთა-
აგდეს იგი ზღუასა. ოა კუალად ეჩუენა უფალი
ხატითა **არმოლაოზისითა** და შეპრისხნა ზღუა-
სა, და შეეშინა და აღიქუა იგი ღელვათა თუხთა
ზედა. ოა იქმნა ღოდი იგი, ვითარცა ფურცელი,
პირსა ზედა წყლისასა აღებულ და მოცემულ,
ხოლო წმიდაჲ იგი მიიყვანებოდა ქრისტეს მიერ
კმელად, ვიდრემდის მიიწია კიდეჲსა და მადლო-
ბით აკურთხევედა ღმერთსა და იტყოდა: «გმად-
ლობა შენ, უფალო, ყოვლითა გულითა ჩემითა
და მიუთხრა მე ყოველი საკვრველებად შენი,
ვიხარებდე და ვიშუებდე შენდამი და უგალობდე
სახელსა შენსა, მადალო, რაჟამს მართლუკუნ

იქცენ ყოველნი მტერნი ჩემნი, მოუძღურდენ
და წარწყმდენ პირისაგან შენისა, რამეთუ ჰყავ
სამართალი შენი, მჯავრი ჩემი, დაშვედ საყდარ-
თა ზედა, მსაჯულო სიმართლისაო, შეპრისხენ
წარმართთა, და წარწყმდა უღმრთოჲ, ხოლო
უფალი ჰკიეს უკუნისამდე» (ფს. 9, 1-7).

ოა ვითარ გამოვიდა იგი კმელად, პრქუა მას
მეფემან: «რად არს ესე, რამეთუ ღონის-ძიებითა
შენითა ზღუადცა განაქარვე?» პრქუა მას **პან-
ტელეონ**: «ზღუადცა ისმენს ბრძანებასა უფლისა
თუხისასა». სრქუა მას მეფემან: «და შენ ხარა
უფალი ზღვსაჲ?» მიუგო მას და პრქუა: «არა
მე ვარ, არამედ უფალი ჩემი იესუ ქრისტე, რო-
მელმან შემიწყალა მე და ქმნა საკვრველებად ესე,
რომელსა შენ ღირსვე არა ხარ ხილვად მას».

ჰაშინ აღატყდა გულის-წყრომად მეფისაჲ
და ბრძანა, რადთა განშადნენ ყოველნი მკეცნი
და ამშიონ მათ, ვიდრემდის სრულიად წარწყმი-
დონ წმიდაჲ იგი. ოა მერმე პრქუა მას მეფემან:
«აწ-მედა შეუძლო-ა მკეცთაცა ძლევაჲ, ჰ **პან-
ტელეონ**, რომელნი მომზადებულ არიან შენთუხს?
არამედ დამემორჩილე და უგე ღმერთთა და შეი-
წყალე შეუენიერებაჲ სიჭაბუკისა შენისაჲ და ნუ
მოჰკუდები და წარსწყმდები, ვითარცა ღელანი
იგი უგუნური, რომელნი იყუნეს უწინარეჲს შენ-
სა, და წარვწყმიდენ».

სრქუა მას წმიდამან მან: «ჰ უგუნურო **მა-
ქსიმიანოს** და სავსეო ზაკუვითა და ყოვლითა
მანკიერებითა, არა უწყი-ა, რამეთუ თხრობითა
ამით შენითა შემძინებ მე ძალსა და სიმტკიცესა
სარწმუნოებასა ზედა ჩემსა და ზრახვასა გული-
სა ჩემისასა? უკუანაჲსკნელ ღელათა განაქარვეს
ძალი შენი და მძლე გექმნეს და თავს-იდვეს სა-
ტანჯველთა შენთა სიმძაფრედ ღმრთისათუხს.
ჩავედენ უფროჲს ჯერ-არს ჩემდა თავს-დებად
სატანჯველთად, რადთა მათებრ ღირს ვიქმნე
მოღებად გვრგვნსა? რამეთუ რომელმან-იგი
დაშრიტნა ლამპარნი და მოაუძღურა ძალი მსახ-
ურთა შენთაჲ და განაცივა ტყევეი და განაქარვა
სიმყვრტეჲ იგი ზღვსაჲ, იგივე შემძლებელ არს
მკეცთაცა დამდოვრებად, რადთა განაქარვენეს
ყოველნი მანქანებანი შენნი და სატანჯველნი».

ჰაშინ მოვიდა ერთი ვინმე ზედა-მდგომელი
მკეცთად და პრქუა მეფესა: «მზა არიან ყოველ-
ნი მკეცნი». ოას ჟამსა ბრძანა, რადთა მიუგდონ
წმიდაჲ იგი მკეცთა. ოა მოვიდეს ყოველნი მყ-
ოფნი ქალაქისანი, რადთა იხილონ ღუაწლი იგი
მისი. ოა მერმეცა ეჩუენა წმიდასა მას უფალი
იესუ ქრისტე **არმოლაოზის** ხატითა და პრქუა

მას: «კეთილო მონაო და სარწმუნოო, მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ» (მთ. 25,21). ოა ვითარ შევიდა წმიდა იგი შორის მკეცთა მათ, მოიცვეს ყოველთა მათ, ვითარცა საცხოვართა მდოვრთა, რამეთუ ლომი იგი ჰლოშნიდეს კელთა მისთა და ვეფხნი — ფერკთა მისთა, და სხუანი იგი მკეცნი ჰკდე-ბოდეს ერთი-ერთსა პატივისცემად მისა. ოა დგა წმიდა იგი შორის მათსა და აღიდებდა ღმერთსა.

ოა ვითარ იხილა ესე ერმან მან, ღაღად-ყვეს ყოველთა, ვითარცა ერთითა კმითა: «დიდ არს ღმერთი ქრისტეანეთად, და განუტევე აწ მართალი». ოა ვითარ ესმა მეფესა ღაღადებად მათი, ბრძანა მოსრვად მათი ყოველთად. ოა იყო რიცხუდ მათი ფრიად. ოა ვითარ მკეცთა მათ არაად ავნეს წმიდასა მას, განძნდა გულის-წყრომად მეფისად, და ბრძანა მოწყუედა ყოველთა მათ მკეცთად.

ჰაშინ ჰმადლობდა წმიდა იგი ღმერთსა და იტყოდა: «გმადლობ შენ, უფალო იესო ქრისტე, მრავალთა საკვრველებათა შენთა ზედა, რამეთუ არა კაცნი ზოლო თავს-იდებენ სიკუდილსა სახელისა შენისათვს, არამედ მკეცნიცა აღირჩევენ სიკუდილსა უფროდს ცხორებისა, რადთა არავის ავნონ მონათა შენთაგანსა». ღოლო ქრისტეანენი წარიღებდეს ფარულად გუამთა მათ მოკლულთასა, რომელნი მოისრნეს დღესა მას, და დაჰმარხვიდეს მათ პატივით. ღოლო მკეცთა მათ გუამნი დაშთეს უენებელად და არა შეეხნეს მფრინველნი კორცთა მათთა, რამეთუ უწყოდეს მათცა, ვითარმედ ქრისტესთვს მოსწყდეს მკეცნი იგი. ოა ბრძანა მეფემან, რადთა მთხრები დიდი მოთხარონ და დაჰფლნენ მკეცნი იგი მას შინა, რამეთუ მრავალთა კაცთად განძლიერდა სარწმუნობად, იხილეს რად საქმე იგი მკეცთად მათ. ოა ამისთვს ბრძანა მეფემან დაფლვად მათი.

ოა ჰრქუა მეფემან თანა-შზრახვალთა მისთა: «რად უყოთ ჭაბუკსა ამას, რამეთუ მრავალნი კაცნი მის გამო დაყენებულ არიან მსახურებად ღმერთთა?» ჰრქუეს მას თანა-შზრახვალთა მისთა: «რამეთუ დაჰკვნის და განაქარვებს ყოველთა სატანჯველთა, რომელთა მოაწევ მის ზედა; არამედ ბრძანე, რადთა შექმნან ურემი ფრიად დიდი და მიიღონ იგი ადგილსა მაღალსა ფრიად და გამოაბან იგი და აღაგორვონ მით ადგილით, და მძაფრად შთამოვიდეს ურემი იგი სიმძიმისა მისგან მწრაფლ და დაჭრნეს და დაბზარნეს კორცნი მისნი, და მოკუდეს».

ოა ბრძანა მეფემან შეყენებად **პანტელეონის**

საპრობილესა, ვიდრე შექმნადმდე ურმისა მის. ოა ვითარ შექმნეს და მიიღეს იგი ადგილსა ფრიად მაღალსა, და მოიყვანეს წმიდა იგი, რადთამცა დაჰკრეს მას, ზოლო იგი ფსალმუნებდა და იტყოდა: «მოყავ, უფალო, ყური შენი და ისმინე ჩემი. ჰამეთუ მხოლოდ-შობილ და გლაზაკ ვარი მე. სცევ სული ჩემი, რამეთუ წმიდა ხარ; მაცხოვრე მონად შენი ღმერთო ჩემო, რომელი გესავ შენ; მიწყალე მე, უფალო, რამეთუ შენდამი ვლადებ მარადღე; ახარე სულსა მონისა შენისასა, რამეთუ შენდამი, უფალო, აღვიდე სული ჩემი, რამეთუ შენ, უფალი, ტკბილ და მართალ ხარ, დიდად მოწყალე ყოველთათვს, რომელნი გხადიან შენ; ყურად-ილე, უფალო, ვედრებისა ჩემისად და მომხედენ კმასა ლოცვისა ჩემისასა და ისმინე ჩემი, რამეთუ შენდამი ვლადებ, რამეთუ არავინ არს მსგავს შენდა ღმერთთა შორის, უფალო, და არარად არს საქმეთა შენთაებრ, რამეთუ შენ, უფალი, შემეწიე და ნუგეშინის-მეც მე» (ფს. 85: 1-8,17).

ოა ვითარ აღასრულა ლოცვად თვსი, შეიპყრეს მსახურთა მათ და დაჰკრეს იგი ურმისთუალთა მათ ზედა. ოა ვითარცა აჭენეს, რადთამცა აღაგორვეს იგი, მყის დაიჭრნეს საკრველნი იგი. ოა დაშთა წმიდა იგი უენებელად, რამეთუ ქრისტემან კელი აღუპყრა მას, ზოლო ურემნი იგი მძაფრად დიდითა სწრაფითა ჩავიდეს და მოკლეს ხუთასი სული წარმართთაგანი სიმძაფრისა მისგან. ოა დაეცა შიში მას დღესა შინა ყოველთა ზედა მყოფთა ქალაქისათა, და მეფესაცა შეეშინა ფრიად და მოუწოდა წმიდასა მას და ჰრქუა: «ვიდრემდის წინა-აღმიდგები და არა ჰყოფ ნებასა ჩემსა? და უმრავლესი ერი მიაქციე მსახურებისაგან ღმერთთადსა, და რომელნი დაშთომილ იყვნეს, იგინი მოგისრვან».

ჰიუგო წმიდამან **პანტელეონ** და ჰრქუა: «ჰუბადრუკო და შეურაცხო, ნაშობო ეშმაკისაო, კეთილად თქუა წინაწარმეტყუელმან თქუენთვს: „მიიქცეს საღმობად მათი თავსა მათსა, და სიცრუევი მათი თხემსა მათსა ზედა დაუკდეს“» (ფს. 7,16). სრქუა მას მეფემან: «და ესე ჩუენთვს თქუმულ არს-ა? ზოლო მითხარ მე. წინ გასწავა ესე თქუმად?» ჰრქუა მას წმიდამან მან: «უფალმან ჩემმან **არმოლაოზ** ხუცესმან მასწავა». სრქუა მას მეფემან: «შემძლეველ ხარ-ა ხილვად მისა, რადთა მეცა ვისწავლო მისგან?» და ესე ზაკუევით ჰრქუა, რამეთუ უნდა მოკლვად მისი მრავლითა სატანჯველითა, უკუეთუ ვითარ შეიპყრას იგი. სრქუა მას წმიდამან მან: «მიმავლინე მე, რადთა

მოვიყვანო იგი შენდა».

სა წარავლინა იგი მრავალთა მკედართა თანა დაცვად მისა. სა შევიდა სახლსა ხუცისასა. სა იგი დამალულ იყო. სა ვითარ იხილა მან **პანტელეონ**, პრქუა: «რად გნებავეს, შვილო ჩემო?» პრქუა მას წმიდამან მან: «მამაო და უფალო ჩემო, მეფე გიწესს შენ». სრქუა მას ხუცესმან: «კეთილ, კეთილ, შვილო ჩემო, რამეთუ მოწვე-
ნულ არს ჟამი ჩემი, რამეთუ ამას ღამესა დამადგა მე უფალი იესუ ქრისტე და მრქუა მე: „მამაო-
ლაოზ, ჯერ-არს შენდა, რადთა იღუაწო ფრიად სახელისა ჩემისათეს, ვითარცა მონამან ჩემმან **პანტელეონ**“. სა აღდგა და წარვიდა მის თანა სიხარულით.

სა ვითარ მიიწივნეს იგინი პალატად, აუწყეს მეფესა, ვითარმედ მოსრულ არს **პანტელეონ** და ხუცესი იგი მის თანა. სა ვითარ ესმა ესე, ბრძანა, რადთა წარადგინენ მის წინაშე. სა ვითარ წარდგეს, პრქუა მეფემან ხუცესსა: «რად გრქვან სახელი?» პრქუა მას: «**არმოლაოს** მიწოდეს მშობელთა ჩემთა, ხოლო სრული სახელი ჩემი — **ქრისტეანე**». სრქუა მას მეფემან: «არიან ვინა შენ თანა სხუანი კაცნი, მოყუასნი შენნი?» პრქუა მას ხუცესმან: «არიან ორნი ძმანი ჩემ თანა». სრქუა მას მეფემან: «რად არს სახელი მათი?» პრქუა მას **არმოლაოს**: «ერთსა მას **არმიბოს**, ხოლო მეორესა **არმოკრატოს** პრქვან და არიან იგინიცა ქრისტეანე». სა თქუა მეფემან: «მოუწოდეთ მათ აქა».

სა წარვიდეს მსახურნი იგი და მოიყვანნეს იგინი და წარმოადინნეს წინაშე მეფისა. სრქუა მათ მეფემან: «თქვენ მიაქციეთა **პანტელეონ** მსახურებისაგან ღმერთთადას?» პრქუეს კაცთა მათ მორწმუნეთა: «ნათელსა მას ქრისტესსა მივიყვანეთ იგი, მ მეფე, რამეთუ ღირს არს იგი მას». პრქუა მათ მეფემან: «წარვედით და დაარწმუნეთ მას, რადთა უგოს ღმერთთა. სა იყვნეთ თქვენ ჩემ წინაშე სახელოვან და პატივ-ცემულ». სრქუეს მას წმიდათა მათ: «ჩუენ ვევედრებით ღმერთსა, რადთა ჩუენ და იგი აღვესრულნეთ სახელისა მისისათეს, რამეთუ იგი არს სასოებად ჩუენი».

სა დადგეს ოთხნივე იგი წმიდანი და ილოცვიდეს უფლისა მიმართ. სა ეჩუენა მათ ქრისტე უფალი, და მყის შეიძრა ადგილი იგი, სადა-იგი დგეს და ილოცვიდეს. სა თქუა მეფემან: «იხილეთ, ვითარდა განრისხებულ არიან ღმერთნი და ძრვენ ქუეყანასა!» პრქუა მას **პანტელეონ**: «რასა იტყვ, მ მეფე, ღმერთთა შეძრესა ქუეყანად? ამისთეს უკუე იგინი დაცემულ არიან». სა

ვითარ თქუა ესე წმიდამან მან, მოვიდა კაცი ვინმე და აუწყა მეფესა, ვითარმედ ღმერთნი დაეცნეს და შეიმუსრნეს. სა ვითარ ესმა ესე მეფესა, და თქუა: «ძალსა კსნისა ჩუენისასა ვფუცავ, უკუეთუ არა წარვეყმდინე ოთხნი ესე კაცნი ადრე, განქარვებად არს მსახურებად ღმერთთადა». სა ბრძანა **პანტელეონისი** მიცემად საპყრობილესა, ხოლო სამთა მათ კაცთად ბრძანა, რადთა მიეცნენ სატანჯველსა დიდსა, და მერმე მოეკუეთოს თავი.
სა ვითარ იწამნეს წმიდანი იგი, მოვიდეს ქრისტეანენი და წარიხუნეს გუამნი მათნი და დაჰმარხნეს იგინი ადგილთა მათთა. ხოლო მეფემან ბრძანა გამოყვანებად **პანტელეონისი** საპყრობილით. სა ვითარ წარადგინეს წინაშე მისა, პრქუა მას: «ნუ ჰგონებ, **პანტელეონ**, ვითარმცა განერი კელთაგან ჩემთა, უკუეთუ შენ არა უგო ღმერთთა». სრქუა მას წმიდამან მან: «არა მივმს მე მიგებად შენდა ამის სიტყვსათეს». სრქუა მას მეფემან: «აჰა ეგერა მოძღუართა შენთა აღიარეს ღმერთთა უფლებად და უგეს მათ და არიან იგინი დიდებულ პალატსა შინა ჩემ წინაშე». ხოლო **პანტელეონ** უწყოდა, ვითარმედ წმიდათა მათ მიუღებეს გვრგვნი წამებისა მათისადა, რომლისაცა ჰსუროდა. სრქუა მას წმიდამან მან: «მოუწოდე მათ, მ მეფე, რადთა ვიხილნე იგინი წინაშე შენსა». სრქუა მას მეფემან: «საქმედ რამდე საკმარ იყო ჩემდა ქალაქსა ერთსა, და მუნ წარვაგლინენ იგინი». სრქუა მას წმიდამან მან: «ფრიად მოწრაფე ხარ, მ მზაკუვარო და ბილწო, რადთა ნაცილ ჰყო ჭეშმარიტებად, რამეთუ წმიდანი იგი ზეცას არიან მკუდრ ქალაქსა ქრისტესსა».

ძაშინ ტანჯა იგი მეფემან დიდად სატანჯველითა მრავლითა და მერმე მისცა იგი მსახურთა მათ, რადთა მოჰკუეთონ თავი მისი, ხოლო გუამი მისი დაწუან ცეცხლითა. სა წმიდად იგი გაალობდა და იტყოდა: «მრავალ-გზის მბრძოდეს მე სიყრმით ჩემითგან, და მე არა მერეოდეს; ბეჭთა ჩემთა მცემდეს მე ცოდვილნი და განაგრძვეს უმჯულოვებად მათი; უფალმან შემუსრნის ქედნი ცოდვილთანი» (ფს. 128, 1-4).

ხოლო მათ განიყვანეს იგი ქალაქით და მიიყვანეს ადგილსა მას, სადა-იგი სათნო-უჩნდა უფალსა აღსრულებად წმიდისადა მის. სა ემორა ქალაქსა ადგილი იგი ნახევარ მილიონ. სა დაადგინეს იგი ხეთა ქუეშე ზეთისხილთასა. სა მიეახლა ერთი მსახურთაგანი, რადთამცა მოჰკუეთა თავი მისი, და იქმნა მახული იგი ლბილ, ვითარცა ცული, და არარად ევნო ცემითა მისითა წმიდასა მას. სა ვითარ იხილეს ესე მსახ-

ურთა მათ, დაუკვრდა და განცვრდეს და თქუეს ურთიერთას: «შეურდეთ წმიდასა ამას, რადთა ლოცვა-ყოს ჩუენთვს». ოა დაცვებს და შეურდეს ფერცთა მისთა და პრქუეს მას: «გევედრებით შენ, ზ მონაო ღმრთისაო, ილოცე ჩუენთვს უფლისა მიმართ, რადთა მომიტეოს ჩუენ უფალმან ყოველი რომელი ვყავთ შენდა მიმართ ბოროტი, და გურწმენეს ჩუენცა ამიერიტგან ქრისტე უფალი».

ჰაშინ წმიდამან **პანტელეონ** აღიზილნა თუ-
აღნი თვსნი ზეცად და თქუა ლოცვასა შინა: 10
«გმადლობ შენ, უფალო ღმერთო ჩემო უკუნი-
სამდე, რომელმან აღასრულე წადიერებაჲ ჩემი
ადგილსა ამას, და აწ გევედრები შენ, უფალო,
მიუტევე კაცთა ამათ შეცოდებაჲ მათი და მიეც
მათ ნაწილი მკვდრობისაჲ სასუფეველსა შენსა». 15
ოა მოიწია მისა ჳმად ზეცით და თქუა: «**პან-
ტელეონ**, მონაო ჩემო სარწმუნოვო, სრულ ქმნულ
არს წადიერებაჲ შენი, და განხმულ არიან შენდა
ბრჭენი ცათანი, და გუნდი ანგელოზთაჲ მიგელის
შენ და გვრგვნი ღიდებისაჲ განმზადებულ არს 20
შენთვს, და მინიჭებულ არს მადლი შენდა, რადთა
ყოველი თხოვაჲ შენი მიგემადლოს შენ, და ყოვე-
ლთა რომელთა ზადონ სახელსა ჩემსა შენ მიერ
და შემწედ გზადოდიან შენ, მიეცეს მათ ყოველი
თხოვაჲ მათი. ოა ამიერიტგან არღარა გეწოდოს 25
შენ სახელი **პანტელეონ**, არამედ **პანტელეიმონ**
იყოს სახელი შენი, რომელ არს: *ყოველთა მოწყ-
ალეჲ*, რამეთუ იყავ ყოველთა კაცთა მოწყალე,
და შენ იყავ ნავთ-საყუდელ მყუდრო, რომელნი
მოივლტოდინ შენდა, და ჳირვეულთა შემწე და
განწირულთა ჳელის-ამჳყრობელ და ბოროტთა 30
სულთა განმდევნელ».

ოა ვითარ ესმა წმიდასა **პანტელეონს** სიტყუ-
აჲ ესე, მოუწოდა მსახურთა მათ და უბრძანა
მათ, რადთა მოჰკუეთონ თავი მისი. ღოლო იგინი

დაეყენეს ყოფად ამისა. სრქუა მათ წმიდამან
პანტელეიმონ: «უკუეთუ თქუენ არა ჰყოთ ესე,
არა გაქუს ჩემ თანა ნაწილი». ოა ვითარ ესმა
ესე კაცთა მათ მისგან, მიეახლნეს მას და ამ-
ბორს-უყვეს ყოველთა ასოთა მისთა. 5

ოა ესრედთ მოჰკუეთეს თავი მისი. ოა იქმნა
ზილვაჲ გუამისა მისისაჲ სპეტაკ, ვითარცა თოვ-
ლი, და იყო სისხლი მისი, ვითარცა სძეჲ. ოა მეყ-
სეულად აღივსნეს ხენი იგი ნაყოფითა. ჰაშინ მე-
ოფთა **ნიკომიდა** ქალაქისათა ვითარცა იზილეს
გუამი იგი წმიდისაჲ მის და ბრწყინვალეებაჲ მისი
და ხეთაჲ მათ ნაყოფი, დაუკვრდა და აღიდებდეს
ღმერთსა, და მრავალსა ერსა პრწმენა უფალი
მას ღღესა შინა. 10

ოა ესმა მეფესა ყოველი იგი ყოფილი და ბრძა-
ნა მოკუეთაჲ ხეთაჲ მათ და დაწუვად მით გუამი
წმიდისაჲ მის. ოა ყვეს ეგრედთ მსახურთა მათ და
წარვიდეს და არღარა მიაქციეს მეფისა, არამედ
დაუტევეს გუამი წმიდისაჲ მის მოწამისაჲ გებუ-
ლად. ოა მივიდეს ქრისტეანენი **ნიკომიდელნი** და 20
აღიტაცეს გუამი იგი ნეტარისაჲ მის და დაღვეს
იგი ადგილსა მას, სადა-იგი იწამა პირველად.

ოა ესრედთ სრულ იქმნა ღუაწლი მისი და
წამებაჲ **ნიკომიდა** ქალაქსა, გარეშე ზღუდესა 25
ქალაქისასა, აღმოსავალით კერძო, აგარაკსა
მას შინა **ადამინტიონისსა** მოღუაწისასა. სრულ
იქმნა წამებაჲ წმიდისა **პანტელეიმონისი**, რო-
მელმან შეურაცხყო გუემაჲ იგი რკინისაჲ და
ცეცხლისაჲ და ყოველი სატანჯველი და მიიღო
მან გვრგვნი სიმართლისაჲ და მადლი ზეცისაჲ
და მისაგებელი მართალთაჲ უფლისა ჩუენისა მი-
ერ იესუ ქრისტჳსა, რომლისაჲ არს ღიდებაჲ და
პატივი მამისა თანა სულით წმიდითურთ, აწ და
მარადის უკუნითი უკუნისამდე. ომენ. 30

